საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-211

17/03/2022

ქ. თბილისი

„შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს ნარჩენების განთავსებასა და სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების განთავსების (ინსინერატორი) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 12 ოქტომბრის №ი-686 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 13 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ დირექტორმა და ითხოვა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2017 წელს სამინისტროს მიერ შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ ნარჩენების განთავსებასა და სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების განთავსების (ინსინერატორი) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გაიცა №72 (09/10/2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2019 წლის 25 აპრილს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) ინსინერაციის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, კომპანია ვალდებული იყო სამინისტროსთან შეეთანხმებინა 2017 წლის №72 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების მიზნით საწარმოს ლიკვიდაციის გეგმა, ხოლო შეთანხმების შემდგომ მოეთხოვა №72 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება. წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად სალიკვიდაციო სამუშაოების წარმოება ადგილზე შემოწმდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს ნარჩენების განთავსებასა და სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების განთავსების (ინსინერატორი) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის

გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 12 ოქტომბრის №ი-686 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი